საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (1998 წელი – 2000 წლის 1 ივლისი)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისათვის მე-20 საუკუნის 90-იან წლები უმძიმეს პერიოდს წარმოადგენს. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მსხვრევის შედეგად გამოწვეულმა კატაკლიზმებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, სამოქალაქო ომებმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა. ის მოდელები და მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ეს სფერო მეტნაკლებად რეგულირდებოდა მოძველდა და მოიშალა. გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანას უჭირს ამ მიმართულებით შიდა რესურსების მობილიზება. ამ უმძიმესი ვითარების მიუხედავად საქართველომ მისთვის ახალ, არაორდინალურ გზებს მიმართა. ჯერ კიდევ ევროსაბჭოში გაწევრიანებამდე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად აუცილებელია დასავლური მოდელების და სქემების აპრობირება.

საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ სტრასბურგსა და ვაშინგტონში ვიზიტების დროს თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს და ევროსაბჭოს ერთობლივი დახმარება აღმოეჩინათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისათვის, რითაც ეს პროგრამა კულტურის სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების თანამშრომლობის მაგალითად იქცეოდა.

მსოფლიო ბანკმა და ევროსაბჭომ სრულად დაუჭირეს მხარი საქართველოს თხოვნას, რის შედეგადაც შემუშავდა პროექტი სახელწოდებით: "კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივა". პროექტი მსოფლიო ბანკმა დააფინანსა გრანტის სახით. აღსანიშნავია, რომ ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც მსოფლიო ბანკმა თანხები გამოყო კულტურული მემკვიდრეობის სფეროზე.

საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და ევროსაბჭოს 18 თვიანი პროექტი წარმატებით დასრულდა და უმაღლესი შეფასება მიიღო მსოფლიო ბანკისა და ევროსაბჭოს ექსპერტებისგან. ამ წარმატებულმა პროგრამამ უფრო ფართომასშტაბიან პროექტების რეალიზაციას ჩაუყარა საფუძველი.

აცნობიერებდა რა საკუთარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებას და მის პოტენციალს არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნებისა და სოციალური ერთობის გაღვივებისთვის, არამედ ტურიზმის აღორძინებისთვისაც, მთავრობამ ითხოვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფრო გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება სწავლების და განახლების სესხის (სგს) მეშვეობით. ახალი კულტურული მემკვიდრეობის პროექტი ინსტიტუციურად დაეფუძნა კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივას, რომელიც IDF გრანტით მუშაობდა 1996 წ-დან.

1998 წლის 18 თებერვალს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის, რომლითაც მსოფლიო ბანკმა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის სწავლებისა და განახლების სესხის სახით გამოყო 4.5 მილიონი აშშ დოლარი, საქართველოს წილი კი დამატებით შეადგენს 480 000 აშშ დოლარს. 1998 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ესაა სწავლებისა და განახლების პირველი პროექტი მსოფლიოს ამ რეგიონში და მსოფლიო ბანკის ისტორიაში კულტურული მემკვიდრეობის პირველი დამოუკიდებელი პროექტი.

კულტურული მემკვიდრეობის პროექტის მთავარი მიზანია განადგურების საშიშროების ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა გადარჩენა, ამ სფეროში მართვის ახალი მეთოდებისა და სტრუქტურების შემუშავება და მათი დანერგვის ხელშეწყობა. სგს-ს ბუნებიდან გამომდინარე პროექტის მუშაობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ახალ საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ცვლილებების სტიმულირება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ცვლილებები მოიცავს როგორც ინსტიტუციურ მოწყობას, ასევე ფონდების მოძიებას, მენტალიტეტთან დაკავშირებულ პრობლემებს, საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, კერძო ინვესტიციების წაქეზებას.

4.5 მილიონი დოლარის ოდენობის სწავლებისა და განახლების სესხით დაფინანსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პროექტის განხორციელების ვადა 3 წელია (1998-2001); მისი განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№377) შეიქმნა.

ფონდის მუშაობის მიმართულებები:

I. გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამა (1.455 მილიონი აშშ დოლარი)

პროგრამა კონკურსების პრინციპით მუშაობს, რომელიც რამდენიმე ეტაპად ტარდება. კონკურსში მონაწილეობის მიღება და განაცხადების შემოტანის უფლება აქვს სამეცნიერო წრეებს, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ინდივიდუალური პირებს, რეგიონული მართვის ორგანოებს, ადგილობრივ თემებს.

ფონდში შემოსულ პროექტებს აფასებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს კულტურის აღორძინების საბჭო, რომელშიც საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტაა თავმოყრილი. აღორძინების საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ტრადიციულად საქართველოს პრეზიდენტი უძღვება, ელინდებიან გამარჯვებულნი.

დღეისათვის ჩატარებულია სამი კონკურსი. გთავაზობთ ინფორმაციას პირველ ორ კონკურსში გამარჯვებული აპლიკაციების, განაცხადების ავტორების, გამოყოფილი თანხების და სამუშაოების შესრულების მდგომარეობის შესახებ 2000 წლის 1 ივლისისთვის:

№	კონკურსში გამარჯვებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი	განაცხადის ავტორი	მდგომარეობა 1999 წლის 1 მარტისთვის	გამოყოფილი თანხა $
1	2	3	4	5
1	ხელნაწერთა დაცვა	საქართველოს მეცნიერბათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი	სამუშაოები დასრულებულია	68 000
2	"იკორთის მთავარანგელოზის" სახელობის ტაძრის პირველი რიგის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები	ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი (საქართველოს ICOMOS)	დასრულებულია საპროექტო სამუშაოები; მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები	74 970
3	ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურისა და ფრესკების კონსერვაცია	თიანეთის რაიონის კულტურის განყოფილება	საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია; დარჩა ფრესკების რესტავრაცია	17 989
4	საქართველოს რადიოკომპანიის "ოქროს ფონდში" დაცული აუდიო ფირების კონსერვაცია (კომპაქტ-დისკზე გადატანა)	საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაცია	გაწმენდილი და კომპაქტ-დისკებზე გადატანილია 36 საათი	15 500
5	მარტვილის ტაძრის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. "მცირე-ჩიქვანების" ეკლესია	მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებული სასწავლო ცენტრი	დასასრულს უახლოვდება სამშენებლო სამუშაოები	19 313,3
6	უძველესი სვანური სიმღერებისა და ფერხულების რეაბილიტაცია	მესტიის რაიონის ფოლკლორული ანსამბლი "რიჰო"	სვანეთში ჩაწერილია 37 უძველესი სვანური სიმღერა და ფერხული.	3 100
7	ვანის ნაქალაქარი: ელინისტური ხანის სატაძრო არქიტექტურული კომპლექსის კონსერვაცია	ვანის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი	მიმდინარეობს საკონსერვაციო და სამშენებლო სამუშაოები	42 910
8	ვაჩნაძიანის სამონასტრო კომპლექსთან "სამება"-ს მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის გადარჩენა	ფიზიკურ პირთა ჯგუფი	სამუშაოები დასრულდა	5 284
9	ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო და საფონდო კორპუსებში კლიმატური რეჟიმის დასამყარებლად გათბობის, ჰაერის კონდიცირების და ვენტილაციის სისტემის მონტაჟის პროექტი	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი	მთავრდება გათბობის, ჰაერის კონდიცირების და ვენტილაციის სისტემის დანადგარების მონტაჟი	55 248
10	დავით აღმაშენებლის	ქუთაისის ნ.	მთავრდება	15 116

	საფლავისა და განჯის ციხის რკინის კარების რესტავრაცია-კონსერვაცია	ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	სამშენებლო სამუშაოები	
11	ანტიკური ხანის ნაქალაქარ ძალისის კონსერვაცია	საქართველოს კულტურის სამინისტრო	დასრულდა მოზაიკის კონსერვაცია, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები	41 252
12	იკვის "წმინდა გიორგის" ეკლესიაზე დროებითი გადახურვის მოწყობის პროექტი	კასპის რაიონის ძეგლთა დაცვის საზოგადოება	მთავრდებაა სამშენებლო სამუშაოები	10 590
13	გადაუდებელი სამუშაოები ყინცვისის წმ. ნიკოლოზოს ტაძრის მოხატულობის გადასარჩენად	ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი	მიმდინარეობს საკონსერვაციო სამუშაოები	58 706
14	ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესიის გადარჩენის პროექტი	საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო	მიმდინარეობს საკონსერვაციო სამუშაოები	67 702
15	"ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების აუდიო–ვიზუალური საინფორმაციო ბანკი"	ქართული პროფესიული და ხალხური მუსიკის აღორძინებისა და პროპაგანდის ახალგაზრდული საზოგადოება "ქართული ხმა".	სამუშაოები დასასრულს უახლოვდება	9 760
16	დუშეთის რ-ნი. ს. ახატანის ნათლისმცემლის სახ. XII–XIII ს.ს.-ების დარბაზული ეკლესიის მხატვრობის გადარჩენა	ასოციაცია "არქიტექტორი"	სამუშაოები დასრულდა	3 956
17	1917-1921 წლების ქართული პრესის მიკროფილმების ბანკი	არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი "ქართული ბიბლიოთეკა"	სამუშაოები მიმდინარეობს	30 000
18	ნიქოზის ღვთაების ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია	სამუშაოები დასრულდა	18 920
19	თიღვას გუმბათიანი ტაძრის გადარჩენა	სოფელ თიღვას მცხოვრებლები	სამუშაოები დასრულდა	27 585
20	სხალთის ღვთისმშობლის ეკლესიის კედლის მხატვრობის გადარჩენა-კონსერვაცია	ხულოს რაიონის კულტურის განყოფილება	მიმდინარეობს კედლის მხატვრობის კონსერვაცია	9 749

გამარჯვებული პროექტების შემსრულებელი ორგანიზაციის შერჩევა ხდებოდა ტენდერის საფუძველზე, რომელიც მსოფლიო ბანკის პროკურიმენტის (შესყიდვების) წესების შესაბამისად ხორციელდება.

1999 წლის ბოლოს - 2000 წლის დასაწყისში ჩატარდა მესამე კონკურსი, რომელმაც გამოავლინა კიდევ 12 გამარჯვებული პროექტი. გამარჯვებული პროექტები შესასრულებლად დამტკიცდა 27 ივნისს გამართულ ქართული

კულტურის აღორძინების საბჭოს სხდომაზე. კერძოდ, დაფინანსდება შემდეგი პროექტები:

1. ფოკას "წმ. ნინოს" ეკლესია;
2. ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია;
3. "არალო"; (აუთენტური ხალხური მუსიკალური საგანძურის აუდიო-ვიდეო დაფიქსირება);
4. ნოქალაქევის ეგრისის მეფეთა სასახლე;
5. "კიფ-ის წარსული, აწმყო და მომავალი" (თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმი);
6. არმაზის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი;
7. სურათების ეროვნული გალერეა;
8. კინოფოტოდოკუმენტაციის სახელმწიფო არქივი;
9. ჩაჟაში (უშგული);
10. "კვეტერას ციხის" ტაძარი;
11. "ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის არქივი";
12. ნეკრესის მცირე ბაზილიკა;

ივნისის ბოლოს საქართველოს კულტურის აღოძინების საბჭოს წევრებს დაურიგდათ ბოლო, IV კონკურსის მასალები. სავარაუდოთ ივლისში გამოვლინდება გამაჯვებული პროექტები.

ფონდის მუშაობის მეორე მიმართულება მოიცავს ოთხ საცდელ პროექტს: ძველი თბილისის ზემო კალას უბანი, შატილი, სიღნაღი და უფლისციხე. ამ პროექტებისთვის გამოყოფილი თანხებით უნდა მოხდეს როგორც აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ასევე მათი მომავალი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. ამ მიზნით პროექტებში პროექტში გამოიყო ორი ფაზა: I მოიცავს მცირე მასშტაბიან გადაუდებელ სამუშაოებს, II კი მდგრადი განვითარების კონცეფციის მომზადებას და მის საფუძველზე შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას.

II. ძველი თბილისი - ზემო კალის უბნის პროგრამა

1. ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები (64995 ლარი).
სამუშაოები დასრულებულია.
შემსრულებელი - "ინტურისტმშენი 1"
2. ჯვრის მამის ეკლესიის დრენაჟის მოწყობა (750 აშშ დოლარი).
სამუშაოები დასრულებულია.
შემსრულებელი - გელა გოდერძიშვილი.
3. ლესელიძის ქუჩაზე მდებარე სკვერის კეთილმოწყობა (8714 აშშ დოლარი).
სამუშაო დასრულებულია.
შემსრულებელი: "ინტურისტმშენი 1"
4. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის სარეაბილიტაციო სამუშაოები (268508 ლარი).
სამუშაოები დასრულებულია.
შემსრულებლები: შპს "მრეწვენტილაცია", სახაზინო საწარმო "მშენებელი", შპს "რეანი", შპს "საფირონი".

5. საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა ავლევის ქუჩაზე (12235 ლარი).
სამუშაოები დამთავრდება ივლისში.
შემსრულებელი - შპს "ჯეკალთო"
6. ზემო კალას რეაბილიტაციის კონცეფციის დამუშავება (24000 აშშ დოლარი).
სამუშაო მიმდინარეობს (კონცეფციიდან გამომდინარე 2000 წელს დაიწყება კონკრეტული სარეაბილიტაციო სამუშაოები).
შემსრულებელი: ტენდერში გამარჯვებული სპეციალისტების ჯგუფი.

III. სიღნაღის პროგრამა

<u>პირველი ფაზა:</u>
1. ბოდბის წმინდა ნინოს ტაძრის ფრესკების კონსერვაცია (8955 ლარი).
სამუშაოები დასრულებულია.
შემსრულებელი: შპს "თერმონი"
2. ბოდბის წმინდა ნინოს ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტის მოსამზადებლად საინჟინრო და გეოლოგიური კვლევა.
სამუშაოები დასრულდა.
შემსრულებლები: რეზო მურუსიძე, დარეჯან მღებრიშვილი.
3. სიღნაღის ქორწინების სახლი (36298 ლარი).
სამუშაოები დასრულდება ივლისში.
შემსრულებელი: შპს "გოგა".
4. სიღნაღის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები (45097 ლარი).
სამუშაოები დასრულდება ივლისში.
შემსრულებელი: შპს "საქსათბობმშენი".
5. კახეთის ზონის არქეოლოგიური ბაზის ფონდების სარეაბილიტაციო სამუშაოები (26275 ლარი).
სამუშაოები დასრულდება ივლისში.
შემსრულებელი: შპს "მენაბდე"

<u>მეორე ფაზა:</u>
დასასრულს უახლოვდება მეორე ფაზის კონცეფციისა და სამუშაოთა პროგრამის შექმნა (13070 ლარი).
შემსრულებელი: ფონდი "გვირგვინი"

IV. უფლისციხის პროგრამა

<u>პირველი ფაზა:</u>
უფლისციხის განვითარების და დაცვის კონცეფცია (4990 ლარი).
მუშაობა დასრულდა.
შემსრულებელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ყიფიანი და არქეოლოგი ლალი ახალაია.

V. შატილის პროგრამა

<u>პირველი ფაზა:</u>
გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები (187180 ლარი)
სამუშაოები ჩატარდა 16 კოშკზე, აქედან 10-ს გამოეცვალა გადახურვა.
შემსრულებელი - "ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი".

<u>მეორე ფაზა:</u>
შატილის მდგრადი განვითარების კონცეფციის დამუშავება (26254 ლარი).
სამუშაო დასრულდა (კონცეფციიდან გამომდინარე 2000 წელს დაიწყება კონკრეტული სარეაბილიტაციო სამუშაოები).
შემსრულებელი: "საქართველოს ურბანისტთა ასოციაცია".

VI. მცირე აღდგენით სამუშაოთა პროგრამა (ე.წ. "სამეზობლო ფონდი")

ამ პროგრამის მიზანს წარმოადგენს ძველი თბილისის ზემო კალას უბანში და სიღნაღში სახელმწიფოს მიერ ძეგლებად აღნუსხულ საცხოვრებელ სახლებში მცირე შეკეთებების ჩატარება.
განაცხადების შემომტანები არიან ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ აღრიცხვაზე აყვანილი სახლების მობინადრეები.

1. თბილისი, ზემო კალას უბანი (86204 ლარი)
სამუშაოები დამთავრებულია. დაკმაყოფილდა 41 განაცხადი.
შესრულებულია შემდეგი მოცულობის სამუშაოები: გამოიცვალა 7690 $მ^2$ სახურავი, შეიღება 13470 $მ^2$ ფასადი და აივანი; შეილარტყა 2500 $მ^2$, გამოიცვალა 115 $მ^2$ კარები და ფანჯრები, დაიგო 127 $მ^2$ იატაკი.
შემსრულებელი: ს/ს "ტრესტი №2"-ის ფილიალი სმმკ-21.

2. სიღნაღი (92479 ლარი)
დაკმაყოფილებულია 43 განაცხადი.
სამუშაოები დამთავრებულია. შესრულებულია შემდეგი მოცულობის სამუშაოები: გამოიცვალა 4430 $მ^2$ თუნუქის სახურავი, გადაეწყო 1010 $მ^2$ კრამიტის სახურავი, შეიღება 1205 $მ^2$ ფასადი და აივანი; შეილარტყა 2740 $მ^2$, გამოიცვალა 137 $მ^2$ კარები და ფანჯრები, დაიგო 1140 $მ^2$ იატაკი და სხვა მრავალი.
სამუშაოებს ასრულებენ: შპს "ხუროთმოძღვარი" და შპს "მენაბდე"

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი ინტენსიურად მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო საინვესტიციო ორგანიზაციებისაგან გრანტების მოსაპოვებლად

1. 1998 წელს ვარძიაში გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად ჰოლანდიური "თრასთ-ფანდიდან" მოპოვებული 100 000 გულდენი (50 000 აშშ დოლარი).
სამუშაოები დასრულებულია.
შემსრულებელი: "ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი".

2. მიწისქვეშა წყლები - 1998-1999 წწ. მიღებულია ჰოლანდიის მთავრობის გრანტი თბილისის ზემო კალას უბნის მიწისქვეშა წყლების მონიტორინგისათვის.
სამუშაოები დასრულებულია.
შემსრულებელი ორგანიზაციები: სტიქია (საქართველო), DHV (ჰოლანდია).

3. 1999 წელს ევროსაბჭოსგან მიღებულია 15000 ფრანგული ფრანკის ოდენობის გრანტი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის.
სამუშაო მიმდინარეობს.

4. 1999-2000 წელებში მიღებულია ევროსაბჭოს გრანტი თბილისის ქვემო კალას უბნის ინვენტარიზაციაზე (55000 აშშ დოლარი).
სამუშაოები დაწყებულია.
შემსრულებელი: ტენდერში გამარჯვებულ სპეციალისტთა ჯგუფი.

--ლორდ რასელ ჯონსტონი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი.-- ვიდრე შესწორებებს განვიხილავდეთ, ტრიბუნასთან ვიწვევ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას, ადამიანს, რომელსაც როგორც მე ორშაბათსაც მოგახსენეთ, ერთნაირად ენდობიან როგორც სომხები, ისე აზერბაიჯანელები. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო დიალოგის წარმართვაში. მე მოხარული ვარ, რომ იგი კვლავ ჩვენთანაა.

ზურაბ ჟვანია. (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე) ვგრძნობ, რომ ამ დარბაზში ყველაზე კარგად მესმის ჩემი სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობრების გრძნობები, რადგან წლინახევრის წინ მეც ასევე აღელვებული ვიდექი თქვენს წინაშე საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებაზე გადაწყვეტილების მოლოდინში და ვფიქრობდი თუ რას მოუტანდა იგი ჩემს ქვეყანას. დღეს სრულიად ნათელია, რომ საქართველომ გაამართლა თქვენი მოლოდინი. დემოკრატიული გარდაქმნების პროცესის დაჩქარებითა და იმ ინსტიტუტების გაძლიერებით, რომელიც განსაზღვრავდა ჩემი ქვეყნის ევროპისაკენ სწრაფვას, თქვენ ერთიანი ევროპული ოჯახის კარი გაგვიღეთ.

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ძვირფას მეგობარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, ლორდ რასელ ჯონსტონს, იმისათვის, რომ მაქვს პატივი დავასრულო ეს დებატები, რომელიც უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს ჩვენი ნაწილის ისტორიაში. ძვირფასო კოლეგებო, რამდენიმე წუთში თქვენ კენჭს უყრით არა მარტო ორი ქვეყნის გაწევრიანების საკითხს, არამედ მთელი რეგიონის სამომავლო პერსპექტივას. თქვენი ხმა გადაწყვეტს თუ რა როლს შეასრულებს ევროსაბჭო და საპარლამენტო ასამბლეა მშვიდობის დამკვიდრების საქმეში კავკასიაში, ევროპის იმ ნაწილში, რომელიც უნიკალურია თავისი მრავალფეროვნებით, დამახასიათებელი კულტურული ტრადიციებითა და რაც მთავარია, ადამიანური რესურსებით.

გასულმა ორმა წელმა სრულიად ნათელად დაგვანახა, ასამბლეის უმნიშვნელოვანეს როლი. საინაგურაციო სიტყვაში ასამბლეის პრეზიდენტმა სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა მის მისი პრეზიდენტობის პერიოდის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა. მან გამოიყენა ასამბლეის მექანიზმები იმისათვის, რომ დაეწყო უპრეცედენტო

დიალოგი სამი ქვეყნის პარლამენტარებისა და რეგულარული შეხვედრები პარლამენტის თავმჯდომარეების დონეზე.

მართალია, რომ ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია ჩვენი კონფლიქტები, მაგრამ როგორც დღეს ამ დარბაზში აღნიშნეს, ფაქტი, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს ერთმანეთის გაწევრიანებას, მეტყველებს რომ დიალოგის გზით ჩამოყალიბდა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ახალი სული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მსოფლიოს ჩვენს ნაწილში წარმატებისკენ მიმავალი გრძელი, მაგრამ კარგი გზის დასაწყისია.

რეგიონის პოლიტიკურ ლიდერებს ესმით, რომ რეგიონული თანამშრომლობისა და ერთა განმაცალკევებელი საზღვრების მოშორების გარეშე ვერასოდეს ავაშენებთ სტაბილურ დემოკრატიასა და ჩვენი ხალხების აყვავებულ მომავალს. სწორედ ამ ხედვის ნათელი დადასტურება იყო პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივა მშვიდობიანი კავკასიის შესახებ, ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტის გეიდარ ალიევის არაერთი ინიციატივა, სულ ცოტა ხნის წინ ეს ხედვა კიდევ ერთხელ დააფიქსირა სომხეთის პრეზიდენტმა კოჩარიანმა საქართველოს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში და სხვა გამოსვლებში.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ მრავალრიცხოვან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც იღწვიან კავკასიაში მშვიდობის დამყარებისათვის, ევროპის საბჭო, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს შერიგების პროცესში.

არის კი სომხეთსა და აზერბაიჯანში ჯერ კიდევ არსებული პრობლემები მიზეზი იმისა, რომ ასამბლეის წევრებმა თავი შეიკავონ მათი მიღებისაგან? რა თქმა უნდა არა. ორივე ქვეყანაში მომხსენებლების მიერ მომზადებული ზუსტი და ობიექტური ანგარიში და აქ, ტერი დევისისა და სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის საფუძველს, რომ ასამბლეამ დადებითად გადაწყვიტოს ორივე ქვეყნის გაწევრიანების საკითხი. ნათელია ორივე ქვეყნის მისწრაფება ააშენოს სიცოცხლისუნარიანი დემოკრატია, ძლიერი ინსტიტუტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების უზენაესობას. ისევე, როგორც ჩემს ქვეყანაში, ევროპულ ოჯახში მიღებამ კიდევ უფრო დააჩქარა გარდაქმნისა და რეფორმირების პროცესი, რაც მომავალშიც იქნება

გარანტირებული ასამბლეის მიერ ჩატარებული დეტალური მონიტორინგის საფუძველზე.

პატივცემულო კოლეგებო, დღევანდელი კენჭისყრა გახდება ორი ერის უძველესი და ბრწყინვალე ისტორიის ნაწილი. თქვენი გადაწყვეტილება ააშენებს მყარ ხიდს დღევანდელი პრობლემებიდან რეგიონის უკეთესი, მშვიდობიანი მომავლისაკენ. თქვენი ხმა იქნება იმედი ასიათასობით ლტოლვილისაკენ, რომ საბოლოოდ გაჩნდა მათი პრობლემების მოგვარების შანსი. ეს იქნება იმედი მომავალი თაობებისათვის, და იმათთვის, ვისაც ჩემსავით სჯერა თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული მომავლის. მათ ეცოდინებათ, რომ მათი ოცნება არ იყო ფუჭი და დადგა დრო, როცა ის შეიძლება ახდეს.

რაც მთავარია, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ ევროპელ აზერბაიჯანელთა და სომეხთა მომავალ თაობებს, რომ მათ შეუძლიათ გახდნენ დიადი ევროპული მომავლისა და ოცნების ნაწილი. მთავარი ძალა ევროპოლი ოჯახისა არის ის, რომ ყველა ლაპარაკობს დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ ენაზე. დადგა მომენტი, რომ ეს ენა ახმიანდეს აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ძვირფასო სომეხო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ევროპულ ოჯახში.

ძვირფასო აზერბაიჯანელო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ევროპულ ოჯახში.
(ბოლო სიტყვები პარლამენტის თავმჯდომარემ წარმოთქვა სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე)

12.07.2000 21

ზ. ჟვანიას ბიბლიოთეკა

--ლორდ რასელ ჯონსტონი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი.-- ვიდრე შესწორებებს განვიხილავდეთ, ტრიბუნასთან ვიწვევ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას, ადამიანს, რომელსაც როგორც მე ორშაბათსაც მოგახსენეთ, ერთნაირად ენდობიან როგორც სომხები, ისე აზერბაიჯანელები. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო დიალოგის წარმართვაში. მე მოხარული ვარ, რომ იგი კვლავ ჩვენთანაა.

ზურაბ ჟვანია. (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე) ვგრძნობ, რომ ამ დარბაზში ყველაზე კარგად მესმის ჩემი სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობრების გრძნობები, რადგან წლინახევრის წინ მეც ასევე აღელვებული ვიდექი თქვენს წინაშე საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებაზე გადაწყვეტილების მოლოდინში და ვფიქრობდი თუ რას მოუტანდა იგი ჩემს ქვეყანას. დღეს სრულიად ნათელია, რომ საქართველომ გაამართლა თქვენი მოლოდინი. დემოკრატიული გარდაქმნების პროცესის დაჩქარებითა და იმ ინსტიტუტების გაძლიერებით, რომელიც განსაზღვრავდა ჩემი ქვეყნის ევროპისაკენ სწრაფვას, თქვენ ერთიანი ევროპული ოჯახის კარი გაგვიღეთ.

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ძვირფას მეგობარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, ლორდ რასელ ჯონსტონს, იმისათვის, რომ მაქვს პატივი დავასრულო ეს დებატები, რომელიც უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს ჩვენი ნაწილის ისტორიაში. ძვირფასო კოლეგებო, რამდენიმე წუთში თქვენ კენჭს უყრით არა მარტო ორი ქვეყნის გაწევრიანების საკითხს, არამედ მთელი რეგიონის სამომავლო პერსპექტივას. თქვენი ხმა გადაწყვეტს თუ რა როლს შეასრულებს ევროსაბჭო და საპარლამენტო ასამბლეა მშვიდობის დამკვიდრების საქმეში კავკასიაში, ევროპის იმ ნაწილში, რომელიც უნიკალურია თავისი მრავალფეროვნებით, დამახასიათებელი კულტურული ტრადიციებითა და რაც მთავარია, ადამიანური რესურსებით.

გასულმა ორმა წელმა სრულიად ნათელად დაგვანახა, ასამბლეის უმნიშვნელოვანეს როლი. საინაგურაციო სიტყვაში ასამბლეის პრეზიდენტმა სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა მის მისი პრეზიდენტობის პერიოდის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა. მან გამოიყენა ასამბლეის მექანიზმები იმისათვის, რომ დაეწყო უპრეცედენტო

დიალოგი სამი ქვეყნის პარლამენტარებისა და რეგულარული შეხვედრები პარლამენტის თავმჯდომარეების დონეზე.

მართალია, რომ ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია ჩვენი კონფლიქტები, მაგრამ როგორც დღეს ამ დარბაზში აღნიშნეს, ფაქტი, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს ერთმანეთის გაწევრიანებას, მეტყველებს რომ დიალოგის გზით ჩამოყალიბდა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ახალი სული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მსოფლიოს ჩვენს ნაწილში წარმატებისკენ მიმავალი გრძელი, მაგრამ კარგი გზის დასაწყისია.

რეგიონის პოლიტიკურ ლიდერებს ესმით, რომ რეგიონული თანამშრომლობისა და ერთა განმაცალკევებელი საზღვრების მოშორების გარეშე ვერასოდეს ავაშენებთ სტაბილურ დემოკრატიასა და ჩვენი ხალხების აყვავებულ მომავალს. სწორედ ამ ხედვის ნათელი დადასტურება იყო პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივა მშვიდობიანი კავკასიის შესახებ, ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტის გეიდარ ალიევის არაერთი ინიციატივა, სულ ცოტა ხნის წინ ეს ხედვა კიდევ ერთხელ დააფიქსირა სომხეთის პრეზიდენტმა კოჩარიანმა საქართველოს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში და სხვა გამოსვლებში.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ მრავალრიცხოვან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც იღწვიან კავკასიაში მშვიდობის დამყარებისათვის, ევროპის საბჭო, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს შერიგების პროცესში.

არის კი სომხეთსა და აზერბაიჯანში ჯერ კიდევ არსებული პრობლემები მიზეზი იმისა, რომ ასამბლეის წევრებმა თავი შეიკავონ მათი მიღებისაგან? რა თქმა უნდა არა. ორივე ქვეყანაში მომხსენებლების მიერ მომზადებული ზუსტი და ობიექტური ანგარიში და აქ, ტერი დევისისა და სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის საფუძველს, რომ ასამბლეამ დადებითად გადაწყვიტოს ორივე ქვეყნის გაწევრიანების საკითხი. ნათელია ორივე ქვეყნის მისწრაფება ააშენოს სიცოცხლისუნარიანი დემოკრატია, ძლიერი ინსტიტუტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების უზენაესობას. ისევე, როგორც ჩემს ქვეყანაში, ევროპულ ოჯახში მიღებამ კიდევ უფრო დაასქარა გარდაქმნისა და რეფორმირების პროცესი, რაც მომავალშიც იქნება

გარანტირებული ასამბლეის მიერ ჩატარებული დეტალური მონიტორინგის საფუძველზე.

პატივცემულო კოლეგებო, დღევანდელი კენჭისყრა გახდება ორი ერის უძველესი და ბრწყინვალე ისტორიის ნაწილი. თქვენი გადაწყვეტილება ააშენებს მყარ ხიდს დღევანდელი პრობლემებიდან რეგიონის უკეთესი, მშვიდობიანი მომავლისაკენ. თქვენი ხმა იქნება იმედი ასიათასობით ლტოლვილისაკენ, რომ საბოლოოდ გაჩნდა მათი პრობლემების მოგვარების შანსი. ეს იქნება იმედი მომავალი თაობებისათვის, და იმათთვის, ვისაც ჩემსავით სჯერა თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული მომავლის. მათ ეცოდინებათ, რომ მათი ოცნება არ იყო ფუჭი და დადგა დრო, როცა ის შეიძლება ახდეს.

რაც მთავარია, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ ევროპელ აზერბაიჯანელთა და სომეხთა მომავალ თაობებს, რომ მათ შეუძლიათ გახდნენ დიადი ევროპული მომავლისა და ოცნების ნაწილი. მთავარი ძალა ევროპოლი ოჯახისა არის ის, რომ ყველა ლაპარაკობს დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ ენაზე. დადგა მომენტი, რომ ეს ენა ახმიანდეს აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ძვირფასო სომეხო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ევროპულ ოჯახში.

ძვირფასო აზერბაიჯანელო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ევროპულ ოჯახში.
(ბოლო სიტყვები პარლამენტის თავმჯდომარემ წარმოთქვა სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე)